მესტიის მუნიციპალიტეტი

დ. მესტიის სათავგადასავლო პარკი

2024 წელი, №2 * მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო გამოცემა

26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მესტიაში

„რაც გვეამაყება და გვაერთიანებს“, ამ ლოზუნგით აღინიშნა წელს დამოუკიდებლობის დღე საქართველოს 18 ქალაქში, მათ შორის მესტიის მუნიციპალიტეტში.

26 მაისს, სეტის მოედანზე მთელი დღის განმავლობაში დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სხვადასხვა სახის საზეიმო, შემეცნებითი და კულტურული ღონისძიებები მიმდინარეობდა.

დღის პირველ ნახევარში გაიმართა კონცერტი ადგილობრივი და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ქორეოგრაფიული ანსამბლების მონაწილეობით. სეტის მოედნის მიმდებარედ მოეწყო სამხედრო ტექნიკის გამოფენა. ასევე ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის და სვანური ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა. სტუმრებისთვის და დამსწრე საზოგადოებისთვის მოეწყო კვების სივრცე, სადაც ადგილობრივი მზარეულების მიერ დამზადებული ქართული კერძების დაგემოვნება იყო შესაძლებელი. სეტის ცენტრალურ სკვერში მოწყობილი იყო საბავშვო და ახალგაზრდული სივრცე, სადაც მსურველებს შეეძლოთ საკუთარი ხელით დაემზადებინათ ხელნაკეთი ნივთები.

დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით წარმოდგენილი იყო საგამოფენო სივრცე – „რაც გვეამაყება და გვაერთიანებს“. დღის მეორე ნახევარში მაყურებლის წინაშე წარსდგა ცეკვის აკადემია „სუხიშვილების“ უმცროსი თაობა.

17:10 საათზე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ისტორიული დრო საზეიმოდ აღინიშნა, მესტიის ფოლკლორული ანსამბლის „რიჰოს“ მიერ შესრულდა საქართველოს ჰიმნი. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიების დასკვნითი ნაწილი ქართველი შემსრულებლების, მარიკა თხელიძის, კახა კუხიანიძის, თამუნა ამონაშვილის და ჯგუფი „ქუჩის ბიჭების“ კონცერტით დასრულდა.

26 მაისის აღსანიშნავი ღონისძიებები მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით გაიმართა.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადებების მიღების დამატებითი ელექტრონული წესი დაინერგა. ელექტრონული სისტემების დანერგვა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში არსებული ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. ასევე, მოქალაქეებს უქმნის შესაძლებლობას დროის, ფინანსების და ენერგიის დანახარჯის გარეშე მიმართონ მუნიციპალიტეტს.

ახალი ელექტრონული სისტემით განცხადებების მიღება შესაძლებელი იქნება შემდეგ განცხადების ფორმებზე:

- I კლასის მცირე არქიტექტურული ობიექტების მშენებლობის შეთანხმება;
- აღსრულება;
- გარე ვაჭრობის ობიექტები;
- დემონტაჟი;
- ლეგალიზება;
- მშენებლობის დეტალური შეტყობინება;
- მშენებლობის ნებართვა;
- ქალაქგეგმარება;
- შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღება;
- შენობა-ნაგებობის კონსერვაცია.

მომსახურების მიღება შესაძლებელი იქნება ვებ-გვერდზე letters.ms.gov.ge შესაბამის კატეგორიაში, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის (ID ბარათის) საშუალებით.

სოფ. იელის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაიწყო

მესტიის მუნიციპალიტეტში წვირმის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. იელის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

სამშენებლო სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულება 15 434 425 (თხუთმეტი მილიონ ოთხას ოცდათოთხმეტი ათას ოთხას ოცდახუთი) ლარს შეადგენს. საპროექტო მონაკვეთების საერთო სიგრძე 10 038 გრძ. მეტრია.

აღნიშნული გზა ადგილობრივი მნიშვნელობის არის და სოფ. იელიში ძირითად მისასვლელ საავტომობილო გზას წარმოადგენს. საპროექტო მონაკვეთი გაივლის კურორტ ჰეშკილის გზის მონაკვეთს, ძირითადი მონაკვეთი კი გადის დაუსახლებელ პუნქტზე.

არსებული საავტომობილო გზის საფარი გრუნტისაა, საჭიროა ახალი ნაგებობების მოწყობა არმირებული ცემენტობეტონის საფარი. მიმდინარე წელს იგეგმება 1500 მ. გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამშენებლო მოედნის მოწყობა, ტრასის აღდგენა, სამშენებლო მოედნის მოხრეშვა-მოშანდაკება, 300 მეტრზე უკვე დაგებულია ბეტონის საფარი.

სამშენებლო სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში (NAT 240001493) გამარჯვებული კომპანია შპს „ბიელი“ ასრულებს.

ბიბლიოთეკარის პროფესიული დღე

30 აპრილს ბიბლიოთეკარის პროფესიული დღე აღინიშნება!

ამ დღესთან დაკავშირებით მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი სოციალურ და კულტურის საკითხებში, ლევან კიკვიძე, დამსახურებულ ბიბლიოთეკარს, ნორა კახიანს ესტუმრა და საჩუქრები და მადლობის სიგელი გადასცა.

ქალბატონი ნორა 81 წლის გახლავთ და 55 წელია რაც დაუღალავად ემსახურება ამ ღირსეულ და საპასუხისმგებლო პროფესიას. იგი დღესაც აქტიურად ემსახურება ამ საქმეს და უძღვება მულახის სათემო ბიბლიოთეკას. დასაფასებელია ამ ადამიანების შრომა და ღვაწლი წიგნიერი და განათლებულ თაობების ჩამოყალიბებაში.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით ვულოცავთ ამ დღეს ჩვენი მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკარებს და პროფესიულ წინსვლას და წარმატებებს ვუსურვებთ.

სამყაო შეხვედრა

ქცევის ანალიზის, სტრატეგიისა და კომუნიკაციების გუნდმა (BISC Partners), ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის – „მუნიციპალური შემოსავლების და მომსახურების მიწოდების გაძლიერება ქცევითი მეცნიერების გამოყენებით“ ფარგლებში, სამუშაო შეხვედრა გამართა მესტიის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან.

შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები, ადგილობრივი პოლიტიკის, სტრატეგიებისა თუ სერვისების შემუშავებაში ჩართული მეხელეები, ადგილობრივი აქტივისტები, თემის ლიდერები და სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებისა და კომუნალური კომპანიების წარმომადგენლები.

პროგრამას აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, Tetra Tech ARD ახორციელებს. აღნიშნული ინიციატივა, მიზნად ისახავს მესტიის მუნიციპალიტეტში მუნიციპალური შემოსავლების გაზრდის ხელშეწყობას, ქცევითი მეცნიერებაზე დაფუძნებული მიდგომების (ქცევითი ინსიათების) გამოყენებით.

ქცევითი ინსაითების მეთოდოლოგია საერთაშორისოდ აპრობირებული ინსტრუმენტია იმ საზოგადოებრივი თუ ორგანიზაციული პრობლემების გადასაჭრელად, რომელიც მოითხოვს ადამიანთა მობილიზებასა და გრძელვადიან, მდგრად ცვლილებებს სოციალურ ნორმებსა და ადამიანთა ქცევაში. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, განხორციელდება ადგილობრივი მოსახლეობის ქცევის მამოძრავებელი ფაქტორების კვლევა, რაც გააუმჯობესებს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტიანობასა და ეფექტურობას.

მესტიის მუნიციპალიტეტის დელეგაციის ვიზიტი გაერთიანებულ სამეფოში

მესტიის მუნიციპალიტეტის დელეგაცია საქმიანი ვიზიტით გაერთიანებულ სამეფოში, განახლებადი ენერგიების კონფერენციაზე „All Energy and Dcarbonise 2024“ დასასწრებად და სხვადასხვა შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად იმყოფებოდა.

ვიზიტი დაიგეგმა დიდი ბრიტანეთის საელჩოს მიერ და მიზნად ისახავს ინდუსტრიის ლიდერებთან თანამშრომლობის წახალისებას. საქართველოს დიდი დელეგაციის წევრები იყვნენ ენერგეტიკის სექტორის ძირითადი აქტორები, მათ შორის საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა, ენერგეტიკის განვითარების ფონდი, ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი და საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია. რეგიონულ დელეგაციაში ასევე შედიოდნენ ენერგეტიკის სფეროს წარმომადგენლები ყაზახეთიდან და სომხეთიდან.

განახლებული იაბორატორიული დიაგნოსტიკა მესტიის საავადმყოფოში!

შპს „მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანება“ გთავაზობთ სრულიად განახლებულ ლაბორატორიას. ლაბორატორიულ დიაგნოსტიკაში წარმოებს სხვადასხვა მიმართულების კვლევები ხარისხის კონტროლის ღონისძიებების მკაცრი დაცვით.

ზოგადკლინიკური გამოკვლევები:

სისხლის საერთო ანალიზი (32 პარამეტრიანი სისხლის კლინიკური ანალიზი);

სისხლის ჯგუფის (ABO სისტემა) და რეზუსის განსაზღვრა;

სისხლის ნაცხის მიკროსკოპული კვლევა;

ჰემოგლობინის, ერითროციტებისა და ჰემატოკრიტის განსაზღვრ;ა

ერითროციტების დალექვის სიჩქარის განსაზღვრა (ESR);

ლეიკოციტების რაოდენობის განსაზღვრა;

ჰემოგლობინის კონცენტრაციის განსაზღვრა;

შარდის საერთო ანალიზი;

ცილის რაოდენობის განსაზღვრა შარდში;

გლუკოზისა და კეტონური სხეულების განსაზღვრა შარდში;

გლუკოზის კონცენტრაციის განსაზღვრა ექსპრეს-მეთოდით (გლუკომეტრით);

განავლის გამოკვლევა ფარულ სისხლდენაზე;

განავლის გამოკვლევა ჭიის კვერცხებზე.

ბიოქიმიური გამოკვლევები (კვლევა სრულდება Erba CHEM-7-ზე):

თირკმლის და საშარდე სისტემის ფუნქციური სინჯების კვლევა (შარდის საერთო ანალიზი, კრეატინინი, შარდოვანა);

ლიპიდური პროფილის განსაზღვრა (ტრიგლიცერიდები და საერთო ქოლესტერინი TG & TCHOL);

ღვიძლის ფუნქციური სინჯების გამოკვლევა (ალანინამინოტრანსფერაზას კონცრენტაციის განსაზღვრა; ასპარტატამინოტრანსფერაზას კონცენტრაციის განსაზღვრა.

იმუნოლოგიური და სეროლოგიური გამოკვლევები:

სქესობრივი გზით გადამცემი ინფექციების სკრინინგი (აივ–ინფექცია HIV – (შიდსი)

სიფილისი RPR;

HCV – C ჰეპატიტი;

HBsAg – B ჰეპატიტი;

სისხლის ჯგუფი (ABO სისტემა) და რეზუსი.

სისხლის შემადედებელი სისტემის გამოკვლევა, კოაგულოგრამა, რომელშიც შედის: (კვლევა სრულდება HumaClot Juniorზე და ECL 412 | Erba-ზე):

აქტივირებული პარციალური თრომბოპლასტინის დრო (APTT);

პროთრომბინის დრო (PT);

პროთრომბინის ინდექსი (PI);

საერთაშორისო ნორმალიზებული შეფარდება (INR);

ფიბრინოგენის კონცენტრაცის განსაზღვრა;

თრომბინის დროს (TT).

იმუნოფლუორესცენციული მეთოდით შესრულებული კვლევები (კვლევა სრულდება ichroma™ III Analyzer-ზე და Wondfo Finecare FIA Meter Plus-ზე):

C-რეაქტიული ცილის განსაზღვრა (რაოდენობრივი);

ტროპონინ I-ს კონცენტრაციის განსაზღვრა (troponin I);

ფერიტინის კონცენტრაციის განსაზღვრა (Ferritin);

D-დიმერის კონცენტრაციის განსაზღვრა;

შაქრიანი დიაბეტის დიაგნოსტიკა და მონიტორინგი-გლიკოზირებული ჰემოგლობინი (HbA1c);

ადამიანის ქორიონული გონადოტროპინის ბეტა ფრაქციის განსაზღვრა (β-HCG);

პროლაქტინის კონცენტრაციის განსაზღვრა (PRL);

პრევენციულ–პროფილაქტიკური გამოკვლევა მამაკაცებისთვის – პროსტატსპეციფიური ანტიგენის კონცენტრაციის განსაზღვრა (PSA);

პროკალციტონინის კონცენტრაციის განსაზღვრა (PCT);

რევმატოიდული ფაქტორის განსაზღვრა (RF IgM);

ალერგიული ტესტი საერთო იმუნოგლობულინი E (Total IgE);

ანტისტრეპტოლიზინის კონცენტრაციის განსაზღვრა (ASO);

25-OH ვიტამინ D-ს კონცენტრაციის განსაზღვრა;

ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონები: თირეოტროპული ჰორმონის კონცენტრაციის განსაზღვრა; თავისუფალი თიროქსინის კონცენტრაციის განსაზღვრა (TSH, FT4);

გაზებისა და ელექტროლიტების (მინერალების) კვლევა არტერიულ და ვენურ სისხლში (ABG) (კვლევა სრულდება ABL9 analyzer-ზე);

pH – მჟავა-ტუტოვანი ბალანსი;

pCO2 – ნახშირორჟანგის პარციალური წნევა/კონცენტრაცია;

pO2 – ჟანგბადის პარციალური წნევა/კონცენტრაცია;

Hct-ჰემატოკრიტი;

cNa+ – ნატრიუმი;

cK+ – კალიუმი;

cCa2+-კალციუმი;

cCl – ქლორიდი;

cLac-ლაქტოზა.

ჰემატოლოგიური კვლევები (სისხლის საერთო ანალიზისთვის) წარმოებს Humacount 30ts-სა და სრულად დიფერენცირებად Mindray Hematology analyzer BC-700-ზე.

შარდის საერთო ანალიზი კი სრულდება HUMAN Combilyzer 13-ზე.

ლაბორატორიული კვლევები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პაციენტების დიაგნოსტიკაში, მკურნალობასა და მონიტორინგში.

კლინიკაში ფუნქციონირებს კვლევების შედეგების ელექტრონული ბაზა და პაციენტების ინტერესებიდან გამომდინარე მუშაობს ელექტრონული ფოსტა.

გეგმიურ ლაბორატორიული კვლევებს გთავაზობთ ორშაბათი-პარასკევი (შაბათ–კვირის გარდა) 10:00 სთ–დან 18:00 სთ–მდე. გადაუდებელი ლაბორატორიული კვლევების ჩატარება კი შესაძლებელია ყოველ დღე, 24 საათის განმავლობაში.

დეტალური ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ საკონტაქტო ნომერზე: +995 571 788 356.

საქართველოს თასის გათამაშება სამთო-სათხილამურო სპორტში

12-13 აპრილს, გუდაურმა უმასპინძლა საქართველოს თასის გათამაშებას სამთო – სათხილამურო სპორტში (საქართველოს ჩემპიონატი).

სლალომი:
უმცროსი ასაკი (2010-2011 წ.)
I ადგილი – კახა გოშთელიანი
საშუალო ასაკი (2008-2009 წ.)
I ადგილი – ირაკლი ხერგიანი

შეჯიბრებაში მესტიიის მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდის 10 მონაწილე ასპარეზობდა.

გუნდს ხელმძღვანელობდნენ მწვრთნელები, რეზო ჯაფარიძე და გოდერძი დადვანი.

გთავაზობთ შედეგებს:

გიგანტური სლალომი:
უმცროსი ასაკი: (2010-2011 წ.)
I ადგილი – ილარიონ მუშკუდიანი
II ადგილი – კახა გოშთელიანი
საშუალო ასაკი (2008-2009 წ.)
I ადგილი – ირაკლი ხერგიანი
II ადგილი – გიორგი ჯაფარიძე

14 აპრილი - დედაენის დღე

დედაენის დღესთან დაკავშირებით, მესტიის ლეო ფილფანის სახელობის თეატრში, ა (ა)იპ „მესტიის მთავარი ბიბლიოთეკის“ ორგანიზებით, გაიმართა ღონისძიება, სახელწოდებით „ო, ენავ ჩემო“.

ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდენ: ლენჯერის N1 და N2 საჯარო სკოლები, წმ. ილარიონ ქართველის სახელობის მესტიის მართლმადიდებლური სკოლა გიმნაზია,

მესტიის N1, N2 და N3 საჯარო სკოლები, ბეჩოს კულტურის სახლი და იფარის N1 საჯარო სკოლა. მოსწავლეებს დედაენის დღე მიულოცა და წარმატება უსურვა, მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველმა სოციალურ და კულტურის და საკითხებში, ლევან კიკვიძემ.

შეგახსენებთ, რომ 1978 წლის 14 აპრილს საქართველოს მოსახლეობამ, ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად, მასობრივი გამოსვლა მოაწყო და წინ აღუდგა საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას, საქართველოში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის გაუქმების შესახებ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან რუსთაველის გამზირისკენ 15 000-მდე ადამიანი დაიძრა. სტუდენტებსა და ინტელიგენციის წარმომადგენლებს სხვა მოქალაქეებიც შეუერთდნენ და რუსთაველის გამზირზე თითქმის 100 000 ადამიანი შეიკრიბა და პირველად საბჭოთა კავშირის ისტორიაში, კომუნისტურმა რეჟიმმა უკან დაიხია.

14 აპრილი-დედაენის დღე, 1990 წლიდან აღინიშნება.

ახალგაზრდული ფესტივალი რთულ ცოცვასა და ბოლდერინგში

20-21 აპრილს, ესტონეთის ქალაქ ტარტუში, ჩატარდა საერთაშორისო ახალგაზრდული ფესტივალი რთულ ცოცვასა და ბოლდერინგში, სადაც მესტიის მუნიციპალიტეტის სპორტული ცოცვის ოთხმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ მწვრთნელები, მიშა მჭედლიანი და ბერდია მერლანი. საპრიზო ადგილი, რომელიც ორივე დისციპლინის საერთო ქულებით ფასდება, მოიპოვა მარია მაჩიტიძემ. ასევე წარმატებით იასპარეზეს დანარჩენმა სპორტსმენებმა, ელენე ხერგიანი საუკეთესო ხუთეულში, ხოლო ინოლა კახიანი და ბარბარე ჩართოლანი საუკეთესო ათეულში მოხვდნენ.

ფესტივალზე მონაწილეობა უზრუნველყო მესტიის მუნიციპალიტეტის მერიამ და ა (ა)იპ „მესტიის მუნიციპალიტეტის სპორტულმა ცენტრმა“.

ვულოცავთ ჩვენს სპორტსმენებს ამ წარმატებას!

სიახლე მესტიის საავადმყოფოში!



შპს „მესტიის საავადმყოფო-ამბულატორიულ გაერთიანებაში“ უკვე სრულყოფილად ამოქმედდა კომპიუტერული ტომოგრაფიის კაბინეტი.

- გთავაზობთ კვლევების ჩამონათვალს:
- თავის ტვინი;
- თვალბუდე;
- წიაღები;
- საფეთქლის ძვალი და ყური;
- კისერი;
- გულმკერდი;
- წელის მალები და გავა;
- მხრის სახსარი;
- იდაყვის სახსარი;
- სხივ-მაჯის სახსარი;
- მტევანი;
- მენჯ-ბარძაყის სახსარი;
- მუხლის სახსარი;
- კოჭ-წვივის სახსარი;
- ტერფი;
- მუცლის ღრუ;
- ქვედა კიდურები.

კლინიკაში ფუნქციონირებს კვლევების შედეგების ელექტრონული ბაზა და პაციენტების ინტერესებიდან გამომდინარე მუშაობს ელექტრონული ფოსტა.

კომპიუტერული ტომოგრაფიის კაბინეტი მუშაობს:

გეგმიური კვლევები;

ორშაბათი-პარასკევი 10:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე.

გადაუდებელი კვლევები;

ყოველ დღე 24 საათის განმავლობაში.



რესპუბლიკური ტურნირი სამბოში

3-4 აპრილს, ქალაქ ხაშურში ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი სამბოში 2011 – 2012 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის.

შეჯიბრებაში მესტიის მუნიციპალიტეტის ნაკრები – გუნდის 8 სპორტსმენი ასპარეზობდა. გუნდს ხელმძღვანელობდნენ მწვრთნელები: მაიზერ ჯაფარიძე, ზურიკო წერედიანი და ვასო გვარლიანი.

მონაწილეთაგან სამმა სპორტსმენმა დაიკავა საპრიზო ადგილი, რომლებიც დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის მედლებით, დიპლომებითა და თასებით.

საპრიზო ადგილები მოიპოვეს:

I ადგილი – გიორგი წერედიანი

I ადგილი – გიორგი ფალიანი

III ადგილი – სანდრო ჭოხონელიძე

კორნელი გირგვლიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ძიუდოში

მესტიის მუნიციპალიტეტში, 10-12 მაისს, ჩატარდა ძიუდოს ერთ-ერთი ფუძემდებლის, კორნელი გირგვლიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ძიუდოში, 2012-2013 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის.

ტურნირში მონაწილეობდნენ ჭიათურის, საჩხერის, ზესტაფონის, მარტვილის, აბაშის, ზუგდიდის, ქობულეთის, ცაგერის, ბორჯომის, ქუთაისის და მესტიის მუნიციპალიტეტების ნაკრები გუნდები. საპრიზო ადგილები დაიკავეს:

24 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - გელა მოდებაძე;
II ადგილი - სემლარ ბენდელიანი;
27 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - დემეტრე ბირბიჩაძე;
II ადგილი - გიორგი მუშკუდიანი;
III ადგილი - ნოდარ ასურმანიძე;
30 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - გიორგი გიგანი;
II ადგილი - ესავ აბდელანი;
III ადგილი - ნიკოლოზ მიქიანი;
III ადგილი - ბესიკი ხელაია;
34 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - ნიკოლოზ გიგანი;
II ადგილი - გიორგი ჭაჭუა;
III ადგილი - ლუკა სხილაძე;
III ადგილი - გაბრიელ აბზიანიძე;
38 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - თომა ნიგურიანი;
II ადგილი - საბა გიგანი;
III ადგილი - ზაზა ჟორჟოლიანი;
III ადგილი - ილია ცხვედიანი;
42 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - თორნიკე ლილუაშვილი;
II ადგილი - თომა ჩუბინიძე;
III ადგილი - ნუგზარი გვაზავა;
III ადგილი - გიგლა დვალი;
46 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - გიორგი ფარჯიანი;
II ადგილი - ზურაბ მეშველიანი;
III ადგილი - ბესიკ ფარჯიანი;
III ადგილი - ზაგდერ ქალდანი;
50 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - ნუგზარ დავიდიანი;
II ადგილი - რომან გოგოლაძე;
III ადგილი - ანდრია გვარლიანი;
III ადგილი - გიორგი კაჭარავა;
+50 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - გაბრიელ ბარდაველიძე;
II ადგილი - ლაშა მარგველანი;
III ადგილი - საბა იაკობაშვილი
III ადგილი - ნოდარ ჯუღელი.

გამარჯვებულებს და პრიზიორებს ფულადი ჯილდო, სანდრო გირგვლიანის სახელობის საქველმოქმედო ფონდიდან პირადად სანდროს მამამ, გურამ გირგვლიანმა გადასცა.

შეჯიბრი მესტიის ლერი ნაკანის სახელობის სპორტულ დარბაზში გაიმართა.

ღონისძიებას ორგანიზება ა (ა)იპ „მესტიის მუნიციპალიტეტის სპორტულმა ცენტრმა“ და კორნელი გირგვლიანის ოჯახმა გაუწია.

აღსანიშნავია ასევე, რომ კორნელი გირგვლიანის შვილმა, იზა გირგვლიანმა, ლატალის სპორტულ ცენტრს საჩუქრად გადასცა სპორტული ტრენაჟორები და მონიტორი. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით, მადლობას ვუხდით ამ ქველმოქმედებისა და კეთილი საქმისთვის, ჩვენი მომავალი თაობის სწორად განვითარების საქმეში.

ლეონ ნაკანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი

25-26 მაისს, დაბა მესტიაში გაიმართა ევროპის ჩემპიონის, მსოფლიოს მესამე პრიზიორის, საბჭოთა კავშირის ჩემპიონისა და პრიზიორის, თბილისის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულისა და პრიზიორის, მრავალი საერთაშორისო და რესპუბლიკური ტურნირის გამარჯვებულისა და პრიზიორის, ძიუდოისტის, ლერი ნაკანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი, სალიცენზიო შეჯიბრება სარეიტინგო ტურნირისათვის 2008-2009 და 2010-2011 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის (დასავლეთ საქართველო).

შეჯიბრებაში მონაწილეობდა საჩხერის, ქუთაისის, ზუგდიდის, ქობულეთის, ზესტაფონის, ჭიათურის, თერჯოლის, ტყიბულის, ლენტეხის, ოზურგეთის, ბათუმის და მესტიის მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული ნაკრები გუნდები.

გთავაზობთ შედეგებს.

2010-2011 წელს დაბადებულთა შორის:

34 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - ელიავა თამაზი
38 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - ივეჩიანი დავით
II ადგილი - ტოკლიკიშვილი სანდრო
III ადგილი - კახაძე გოჩა
III ადგილი - კახაძე ხვიჩა
42 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - წერეთელი დაჩი
II ადგილი - მაჩიტიძე გუგა
III ადგილი - ბერიძე ზაზა
III ადგილი - დეკანოიძე ვიტალი
48 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - ლილუაშვილი მათე
II ადგილი - მოდებაძე დაჩი
III ადგილი - გუჯეჯიანი ნიკოლოზ
III ადგილი - ჯაფარიძე ნიკოლოზ
50 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - ბარათელი ლაზარე
II ადგილი - ბარამიძე დაჩი
III ადგილი - ფანგანი იგორ
III ადგილი - სურმანიძე ლუკა
55 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - არღვლიანი ანდრია
II ადგილი - ღვანიძე ტატო
III ადგილი - ხერგიანი საბა
III ადგილი - ტაბატაძე გიორგი
60 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - შანიძე ლერი
II ადგილი - თურმანიძე ანდრია
III ადგილი - გოგლიჩაძე მათე
III ადგილი - ბენდელიანი მურმან
66 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - ბურჯანაძე აკაკი
II ადგილი - ჟორჟოლიანი მიხეილ
III ადგილი - ჯანელიძე ტრისტან
III ადგილი - ქათამაძე გიგი
73 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - მიქაუტაძე მათე
II ადგილი - ჩხაიძე საბა
+73 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - გორჯელიძე საბა

2008-2009 წელს დაბადებულთა შორის:

46 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - კვიციანი ნიკოლოზ
II ადგილი - ქურასბედიანი გიორგი
50 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - ბიბინიძე ნიკოლოზ
II ადგილი - თავართქილაძე მათე
III ადგილი - ბურძენიძე ლუკა
55 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - გირგვლიანი კვირიკე
II ადგილი - ფარჯიანი ლუკა
III ადგილი - ბუცხრიკიძე თემური
III ადგილი - ქურცაიძე ალეკო
60 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - კვიციანი ნიკოლოზ
II ადგილი - მაღლაკელიძე ილია
III ადგილი - კვიციანი კახა
III ადგილი - ვიბლიანი მათე
66 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - დარბაიძე გიორგი
II ადგილი - ჟღერია გიორგი
III ადგილი - დეკანოიძე ავთო
III ადგილი - ბუკავაძე გიორგი
73 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - გაფრინდაშვილი გიორგი
II ადგილი - ბერიძე ბერა
III ადგილი - გუბელაძე ლაშა
III ადგილი - გულბანი ვანო
81 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - ალფაიძე საბა
II ადგილი - ბოჭორიშვილი დავით
III ადგილი - კორძაია გიორგი
+81 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - ალფაიძე ნიკოლოზ
II ადგილი - ჩიტიშვილი გიორგი
III ადგილი - ხელაძე დიმიტრი
III ადგილი - აფაქიძე საბა

გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის მედლებით, დიპლომებითა და თასებით.

დავით ნავეხიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი პირველობა ძიუდოში

4 მაისს, მულახის ილია გაბლიანის სახელობის სპორტ-კომპლექსში გაიმართა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის ძიუდოში და ქართულ ჭიდაობაში, მრავალი საერთაშორისო და რესპუბლიკური ტურნირების გამარჯვებულისა და პრიზიორის, დავით (დათო) ნავერიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი მუნიციპალიტეტის პირველობა ძიუდოში მოსწავლეთა შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის მაშტაბით არსებული გუნდები: ფარი, ეცერი, ბეჩო, ლატალი, მესტია, მულახი, წვირმი და იფარი.

გამოვლინდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები, რომლებიც დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის მედლებით, დიპლომებითა და თასებით.

შედეგები:

2010 - 2011 წელს დაბადებულთა შორის:

38 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - ჭოხონელიძე სანდრო
II ადგილი - ჭეხანი ნიკოლოზ
III ადგილი - ლუხუტაშვილი ალექსანდრე
III ადგილი - ივეჩიანი დავით
46 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - ჯაჭვლიანი გიორგი
II ადგილი - გუჯეჯიანი ნიკოლოზ
III ადგილი - ჭეხანი კაკო
50 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - წერედიანი გიორგი
II ადგილი - ფანგანი გიორგი
III ადგილი - არღვლიანი ანდრია
III ადგილი - მარგიანი გიორგი
55 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - პაკელიანი ბესო
II ადგილი - ქანცლიანი თედო
III ადგილი - აფრასიძე დათო
60 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - ქალდანი დიმიტრი
+60 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - ფირცხელანი ნიკოლოზ
II ადგილი - ფალიანი გიორგი

2012-2013 წელს დაბადებულთა შორის:

30 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - მიქიანი გაბრიელ
II ადგილი - ნიგურიანი ნიკოლოზ
III ადგილი - პირველი ბაქარ
III ადგილი - აბდელანი ესავ
34 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - გიგანი ნიკოლოზ
II ადგილი - კვანჭიანი მიქაელ
III ადგილი - გუჯეჯიანი ანდრია
III ადგილი - მარგველანი ანდრია
38 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - ნიგურიანი თომა
II ადგილი - გიგანი საბა
III ადგილი - ჟორჟოლიანი ზაზა
III ადგილი - გულბანი გიორგი
42 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - კვიციანი საბა
46 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - ფარჯიანი გიორგი
II ადგილი - ქალდანი ზაგდერ
III ადგილი - კვიციანი ნიკოლოზ
50 კგ. წონითი კატეგორია
I ადგილი - მარგველანი ლაშა
II ადგილი - ხორგუანი ადამ

ძიუდოს მასტერკლასი

მესტიის ლერი ნაკანის სახელობის სპორტულ დარბაზში, ათენის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი – ნესტორ ხერგიანი ძიუდოს მასტერკლასებს ატარებს. წვრთნებს ესწრებიან მუნიციპალიტეტის მაშტაბით არსებული ძიუდოს სკოლები.

მსგავსი მასტერკლასები მნიშვნელოვანია სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციის, სპორტული ოსტატობის დონის გაუმჯობესების და განვითარების მიზნით.

მოგახსენებთ, რომ საწვრთნელი პროცესი მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და დაფინანსებით მიმდინარეობს. ტიტულოვანი სპორტსმენი, ნესტორ ხერგიანი მთელი წლის განმავლობაში პერიოდულად ჩაატარებს მასტერკლასებს და საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებს მომავალ სპორტსმენებს.

დამფუძნებელი: მესტიის მუნიციპალიტეტის მერია მისამართი: დ. მესტია სეტის მოედანი №1	გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილებამ: თამარ გოშთელიანი, მაია ფილფანი, ლაშა ჯაფარიძე და ხატია წიკლაური.	გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორი“-ს კომპიუტერულ ცენტრში	ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 599 85 55 25 თამარ გოშთელიანი 595 08 95 30 ხატია წიკლაური ელ. ფოსტა: meriasazogadoeba@gmail.com